ხორცპროდუქტების ინდუსტრიის კვლევა

მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით

2020წელი

შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ხორცპროდუქტების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 10 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 11 - ფინანსური კოეფიციენტები

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება ხორცპროდუქტებით ვაჭრობისა და წარმოების ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის მეორე და მესამე ზომით კატეგორიებს, აქედან აუდირებულია მხოლოდ 9 კომპანია.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 25-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ხორცის პროდუქტების ბაზრის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი ხორცის წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე, მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ვებგვერდიდან.

კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს ხორცპროდუქტების მწარმოებელ და მოვაჭრე კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 450 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 166 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 24 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს ხორცპროდუქტების წარმოების ინდუსტრიაში გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 13%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 16%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები კატეგორიების მიხედვით. მოცემული 25 კომპანიიდან ცხრა კომპანია ერთიანდება მეორე კატეგორიაში, ხოლო ნადარჩენი 16 კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიას.









ხორცპროდუქტების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ხორცპროდუქტების ბაზარი ცვალებადია, ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება საკმაოდ კვეთრი ცვლილება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, 2018 წელს ხორცის წარმოებამ საკმაოდ იმატა წინა წელთან შედარებით, თუმცაღა 2019წლის მონაცემების თანახმად, ადგილობრივი წარმოება ისევ იკლებს. თუმცაღა ქვეყანას აქვს პოტენციალი აწარმოოს გაცილებით მეტი და მაღალი ხარისხის ხორცპროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე გაიზრდება, ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად წარმოების მოცულობაც.

ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018 წელს, ხორცპროდუქტების მწარმოებელმა კომპანიების რაოდენობამ შეადგინა 12, ხოლო მოვაჭრე კომპანიებმა 13.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2018 წელს, ხორცის წარმოებამ საქართველოში 72.6 ათასი ტონა შეადგინა.

ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია, ხორცპროდუქტების წარმოება წლების მიხედვით.



წყარო:geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხორცპროდუქტების წაროების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2018 წელს, 72.6 ათასი ტონა, ხოლო ყველაზე დაბალი მონაცემი ფიქსირდება 2014 წელს, 59.3 ათასი ტონა.

ხორცპროდუქტების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2018 წელს იწარმოა 22.9 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია ხორცის წარმოება საქართველოში, პირუტყვის სახეობის მიხედვით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.



წყარო:geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ყველაზე მეტი იწარმოება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2018წელს იწარმოა მაქსიმალური რაოდენობა 22.9 ათასი ტონა. შემდეგი მოდის ფრინველის ხორცი: ქათმის, ინდაურის, იხვისა და ბატის ხორცი, მაქსიმალური რაოდენობა იწარმოა 2016 წელს, 23.5 ათასი ტონა და გადააჭარბა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოებას.
ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია ერთი კილოგრამი ხორცის ფასი, წლების მიხედვით.



წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ძვირად ფასობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, 2018 წელს ერთი კილოგრამი ხორცის ფასმა 12.61 ლარი შეადგინა. შემდეგ მოდის ცხვრისა და თხის ხორცი, რომლის მაქსიმალური ღირებულება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2018 წელს, 12.34 ლარი.

ხორცპროდუქტების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს იმპორტირებული ხორცპროდუქტების საერთო ღირებულება გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, რაც მიუთითებს მოთხოვნის ზრდაზე და ადგილობრივი წარმოების სიმცირეზე. 2018 წელს იმპორტირებული ხორცის პროდუქტების საერთო ღირებულებამ 101,340 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს 119,398 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი ხორცპროდუქტების იმპორტი, შემდეგია: ბრაზილია, უკრაინა, თურქეთი, გერმანია, ნიდერლანდები.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა ბრაზილია, საიდანაც შემოდის ხორცპროდუქტების ძირითადი ნაწილი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, იმპორტის ღირებულებამ შეადგინა 44,700 ათას აშშ დოლარზე მეტი, ხოლო 2018 წელს 29,000-ს აშშ დოლარს გადააჭარბა.

რაც შეეხება ექსპორტის ღირებულებას, შემდეგია:



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ექსპორტის მაქსიმალურმა ღირებულებამ შეადგინა 32,190 ათასი დოლარი, ირანში, 2018 წელს.

ხორცპროდუქტების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ იმპორტიორ ქვეყნებში ბრაზილია ლიდერობს, საინტერესოა როგორ იცვლებოდა ტოპ ქვეყნები ბოლო ოთხი წლის განამვლობაში.
ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ტოპ ხუთი იმპორტიორი ქვეყნები წლების მიხედვით:

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, საკმაოდ ცვალებადია ტოპ იმპორტიორი ქვეყნები და მათ მიერ იმპორტირებული საქონლის ღირებულება.

ტოპ 5 ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია შემოსავლების მიხედვით (2018წ)

აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს დანარჩენი ხორცის მწარმოებელი კომპანიების ჯამური შემოსავლის 76%-ს.



მთლიანი აქტივების მიხედვით, ტოპ 5 კომპანია ხორცპროდუქტების წარმოების ინდუსტრიაში (2018წ)



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 კომპანია ხორცპროდუქტების წარმოების ინდუსტრიაში (2018წ)



ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად დადგინდა ხორცპროდუქტებით მოვაჭრე და მწარმოებელი კომპანიების ინდუსტრიის ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მწარმოებელთა მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 5,7 და 1,04 ხოლო, ხორცპროდუქტებით მოვაჭრე კომპანიების კოეფიციენტებმა შეადგინა შესაბამისად 15,15 და 5,72. როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.





მომგებიანობის კოეფიციენტები

ხორცპროდუქტებით მწარმოებელთა კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 26%, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მოვაჭრე კომპანიების ანალოგიურ მონაცემებს, რომელმაც შეადგინა 62%. წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 13%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 16%-ს, ანალოგიური მონაცემები მოვაჭრე კომპანიებისა შეადგენს 33%-სა და 65%-ს.

უნდა აღინიშნოს შემოსავლის მარჟის კოეფიციენტები, რაც აღემატება 26%-ს, მეწარმეებისათვის და 62%-ს მოვაჭრე კომპანიებისათვის. ეს ინდიკატორი წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას. თუმცა აღსანიშნავია ასევე საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში რის გამოც, მოგების მარჟა შეადგენს 10% -5% -ს.





ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. ინდუსტრიული მწარმოებელთათივს მაჩვენებელი უტოლდება 0,73-ს, ხოლო მოვაჭრე კომპანიებისათვის კი 0,87-ს, რაც მიუთითებს აქტივების სიდიდეზე ვალდებულებებთან მიმართებაში .
ასევე აღსანიშნავია **ვალდებულებები შეფარდებული** კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,27-ს მწარმოებელთათვის და 2,15-ს ხორცპროდუქტებით მოვაჭრე კომპანიებისათვის, რაც მიუთითებს იმაზე რომ ვალდებულებები მხოლოდ ორჯერ აღემატებ კაპიტალურ დანახარჯებს.





ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 10,88-ს, ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიებისთვის, ხოლო მოვაჭრეებისათვის 15-ს, რაც ორივე შემთხვევაში არის მაღალი მაჩვენებელი და მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიებს არ უჭირთ მათი მარაგების რეალიზება. ზოგადად, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს წარმოებული პროდუქტი საწყობში.



აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი ხორცპროდუქტების მწარმოებელთა ინდუსტრიაში უტოლდება 2,24-ს მწარმოებელთათვის, ხოლო მოვაჭრეთათვის კი 5,72-ს. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში, მწარმოებლებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეული მათი აქტივების სიდიდით.



რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია “AGIC” არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.

0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო

(995 322) 500 130

(995 599) 34 33 48

info@agic.ge